ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02-215

ქ. თბილისი 28 მაისი, 2012 წელი

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ს.ს.ი.პ. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო (შემდგომში – შემსყიდველი), სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ინწკირველის სახით და მეორეს მხრივ, შპს "თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი დირექტორის ნუგზარ ბაჩიაშვილის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია ქ. თელავის იუსტიციის სახლის (მდებარე ქ. თელავი, ერეკლე მეორეს მოედანი №2) გაზმომარაგების პროექტის შედგენის (CPV 71300000) სახელმწიფო შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №74 განკარგულების შესაბამისად.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: თელავის იუსტიციის სახლის გაზმომარაგების პროექტი, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს A3 ფორმატზე და ელექტრონული ვერსიის სახით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს კანონმდებლობით ნებადართული შემოსავლებიდან შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს გადაუხადოს შესრულებული მომსახურების საფასური 708 (შვიდასრვა) ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2. „მიმწოდებლის" მიერ გასაწევი მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ნორმებს.

3.3 ნებისმიერი პრობლემა და ზიანი, რომელიც წარმოიქმნება მიმწოდებლის არაკვალიფიციურობის ან დაუდევრობის შედეგად პროექტის მიხედვით სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის დროს და აღმოჩნდება, რომ ამის გამო იზრდება შემსყიდველის ხარჯები, მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

4.1. „მიმწოდებლის" მიერ თელავის იუსტიციის სახლის გაზმომარაგების პროექტი დამზადების მომსახურება იწყება ხელშეკრულების ხელმოწერიდან და მთავრდება არაუგვიანეს 2012 წლის 30 მაისისა.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №67ა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის 1.2 პუნქტით გათვალისწინებული ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენა.
5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირები (ინსპექტირების ჯგუფი) არიან სააგენტოს ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ოლეგ დოლიძე, ხოლო ხელშესრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ბოკუჩავა.
5.3 შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების წუნდების მიზეზის მითითებით და ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებით უსაზღვრავს გონივრულ ვადას არაუმეტეს 7.4.4 პუნქტით გათვალისწინებული ვადისა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეებს შორის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტი და მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ამ უკანასკნელის მიერ მომსახურების გაწევისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია უნდა განიხილოს და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით დაადასტუროს შესაბამისობა ან ხარვეზის გამოსწორების მიზნით მიმწოდებელს დაუბრუნოს არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
7.1.1 შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.1.2 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
7.2.1 გონივრულ ვადებში აცნობოს მიმწოდებელს მომსახურების გაწევის დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
7.2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების საფასური;
7.2.3 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.2.4 პუნქტი 5.1-ით გათვალისწინებულ პირობების შესრულებისას გააფორმოს „მიმწოდებელთან“ მიღება-ჩაბარების აქტი.
7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
7.3.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელი შეუწყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დროულად, ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებაში.
7.3.2 მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
7.3.3 მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
7.4.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;
7.4.2 მომსახურების გაწევის პერიოდში დაიცვას „შემსყიდველის“ ინტერესები, რომელიც გულისხმობს სტრუქტურულად, ფუნქციონალურად და ესთეტიკურად დასრულებული პროექტების მიღებას, რომელიც უსაფრთხო იქნება ექსპლუატაციისთვის.
7.4.3 შეტყობინების მიღების შემდეგ 15 კალენდარული დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი.
7.4.4 საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
7.4.5 აუნაზღაუროს შემსყიდველს პროექტის ხარვეზით გამოწვეული ნებისმიერი ზიანი.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით ან დაგვიანებით შესრულებით.
8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.
8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.01%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილობრივ შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.01%-ს.
8.6 მიმწოდებელი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანი.
8.7 იმ შემთხვევაში, თუკი მხარის მიერ გადასახდელი (მხარისათვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დაკისრებული) პირგასამტეხლოს საერთო ღირებულება გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება

აქვს ცალმხრივად მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
8.8 პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წარდგენილი დოკუმენტაციის შემსყიდველის მიერ განხილვისთვის გახარჯული დრო.
8.9 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.
9.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა შესაძლებელია გაიზარდოს 4.1 პუნქტში მითითებული ვადების გაზრდის შემთხვევაში მხარეთა შეთანხმებით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკებს იღებს მიმწოდებელი.
10.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2 პუნქტი 12.1-ში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.
11.3 ხელშეკრულების მე-12 მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება მხარისათვის ხელშეკრულებით მითითებულ მისამართზე წერილობითი შეტყობინების ჩაბარებიდან მე-5 დღეს.

12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ თბილისის საქალაქო სასამართლოს.

14. ფორს-მაჟორი

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება მის მიერ შერჩეული მეთოდით (მათ შორის შესაბამისი დარგის სპეციალისტის მოწვევის და/ან ექსპერტიზის ჩატარების გზით), რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
15.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

15.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15.4. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

16. სხვა პირობები

16.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან).
16.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
17.5 მხარეთა შორის მიმოწერა ხორციელდება წერილობით, ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართებზე, ხოლო ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისთვის მიწოდება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით იმ პირობით, რომ ორიგინალი შემდგომში წარედგინება მეორე მხარეს უშუალოდ ან ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის მეშვეობით.

17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო
ქ. თბილისი,
აკ. წერეთლის გამზ. №67ა
სს ,,საქართველოს ბანკი''
BIC კოდი: BAGAGE22
ა/ა GE20BG0000000122031300
ს/კ 202307404

სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე

ნინო ინწკირველი

მიმწოდებელი:

შპს „თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო“
ქ. თელავი ქეთევან წამებულის 3ა
სს „კორსტანდარტბანკი“
BIC კოდი: AGREGE22
ა/ა: GE78KS0000004000468175
ს/კ 220101945

შპს "თელავის რაიონის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ბიურო“-ს დირექტორი

ნუგზარ ბაჩიაშვილი